

პპა ლაღიაძე.
მაია არჯვანიძე

მ მებრულში (გალის რაიონის სოფელ პირველი გალის მეტყველების მიხედვით)

მ მებრულში გვხვდება როგორც ი ხმოვნის და შ, ს, ლ, რ თანხმოვნების პოზიციური ნაირსახეობა. იშვიათად დასტურდება რბილი შემართვისა და დამართვის დროს.

მებრული დიალექტის კილოკავ-თქმები მ-ის გამოვლენის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ; პალატალიზაციის პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელია მარტივლური მეტყველებისათვის, სადაც ხშირია ლ თანხმოვნის პალატალიზაციის შემთხვევები (ი. ყიფშიძე, 1914; ს. ელენტი, 1953).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამურზაყანოულ-ზუგდიდურ კილოკავში მ არ დასტურდება (მ. ციკლია, 1954, გვ. 323). თუმცა სამურზაყანოული მეტყველების ნიმუშების შესწავლა სხვაგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა. შედარებით იშვიათად იოტიანი ფორმები გამოქვეყნებულ მებრულ ტექსტებშიც გვხვდება.

2006 წლის შემოდგომაზე გალის რაიონის სოფელ პირველ გალში ჩვენ საგანგებოდ ჩავიწერეთ და შევისწავლეთ მეტყველების ნიმუშები და შევუდარეთ გამოცემულ მებრულ ტექსტებს, კერძოდ, ი. ყიფშიძისა (1914) და მ. ხუბუას (1937) მიერ ჩაწერილ ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავის მასალას. შედარების საფუძველზე ბევრი საინტერესო ფაქტი გამოვლინდა.

სოფელ პირველი გალის მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მ სამურზაყანოული მეტყველებისთვისაც უცხო არ არის. იგი, მსგავსად მებრულის დანარჩენი კილოკავ-თქმებისა, რეალიზდება სხვადასხვა პოზიციაში, კერძოდ:

I. მ ხშირია სახელის ბოლოკიდურად ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული შ თანხმოვნის მონაცვლედ:

ჩხორო სქუამ მარდუალ დიდა | ვორექ "ცხრა შვილის გამზრდელი დედა ვარ"; ქვარამ ჭუამ წამალიშ ფარა ვამიღ "მუცლის ტკივილის წამლის ფული არ მაქვს"; ნოსამ ცუდეს ვორდით "რძლის სახლში ვიყავით"; სუმშა იბდით ოქუმშა ცენტრიშა "სამჯერ წვედით ოქუმის ცენტრში"; ღუმშა კეთება ირკოს ვაუჩქე "ღომის გაკეთება ყველამ არ იცის"; ართ ამხანაგის ცუდე დოუქვეს ჯარამ გურშენ "ერთ ამხანაგს სახლი დაუწვეს ჯარის გამო".

მსგავსი მაგალითები გამოქვეყნებულ ტექსტებში არ დასტურდება.

მ-შ ბოლოკიდურ პოზიციაში გამოვლინდა უჩგუში "უკეთესი" სიტყვასთან: უჩგუ ბომ მოკოდ სინჯათ "უკეთესი ბიჭი მინდოდა სიძედ".

ფონეტიკური ცვლილება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: უჩგუში > უჩგუში (ი ხმოვნის დაკარგვით) > უჩგუ (შ-ს პალატალიზაციით). ამ შემთხვევაში შ ფუძისეული თანხმოვანია, უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი (მდრ.: უ-სქვამ-აშ-ი "ულამაზესი", უ-დიდ-აშ-ი "უდიდესი").

ძირეული თანხმოვნისაგან მომდინარე მ სიტყვის შუაში დავადასტურეთ ომშა ფორმაში:

თენა ომშა მათ თქუალირ "ეს ასჯერ მაქვს ნათქვამი".

ოძშა მიღებულია შემდეგნაირად: **ოშიშა** > **ოშშა** (ი ხმოვნის ამოვარდნით) > **ოძშა** (შ-ს პალატალიზაციით). ამ შემთხვევაში შ ძირისეულია (შდრ.: ს.ქართვ. ასი > მეგრ. ოში). შესაძლებელია სხვაგვარი ახსნაც: **ოშიშა** > **ოიშა** (შ-ს დაკარგვა) > **ოძშა** (ი-ს დავიწროება).

II. **ხ** თანხმოვნისაგან მიღებული **ღ** საკვლევი სოფლის მეტყველებაში, ისევე როგორც საერთოდ მეგრულ დიალექტში, იშვიათია. დავადასტურეთ სახელის ბოლოკიდურად მიცემითი ბრუნვის ნიშნის რეფლექსად:

კგნობ **ჭკგდიღ** შხვანერო ჭუნდეს "უწინ მქადს სხვანაირად აცხობდნენ".

III. **ლ** თანხმოვნის პალატალიზაციის შემთხვევები დაფიქსირდა ბოლოკიდურ პოზიციაში. **ლ>ღ** პროცესს წინ უძღვის სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსის დაკარგვა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა მეგრულში, მაგ.:

თაქ ახლოს ორღგ **წისქვიღ** "აქ ახლოს იყო წისქვილი"; **ნახანდიღ** ოსურ ვორექ "ნაშრომი ქალი ვარ"; **ირფეღ** მიღუდეს "ყველაფერი გქონდა"; **გაჭირებუღ** რე "გაჭირვებული არის".

ამ მხრივ სამურზაყანოული მეტყველება ძირითადად თანხვდება სხვა კილოკავების მასალას. მარტვილურისაგან განსხვავებით, სადაც **ლ** თანხმოვნის პალატალიზაციის ხარისხი ყველაზე მაღალია, საანალიზო სოფლის მეტყველებაში **ლ>ღ** პროცესი მხოლოდ სიტყვის ბოლოკიდურად გვხვდება.

IV. ზმნის ხმოვანი პრეფიქსი **ი>ღ** ზმნისწინისეული ან ნაწილაკისეული ხმოვნის მეზობლად. პროცესს წინ უძღვის II პირის **გ**- პრეფიქსის დაკარგვა, მაგ.:

სო გოკო თექ **შეღლებ** (<შეგილებ) ულა "სადაც გინდა, იქ შეგიძლია წასვლა"; **ვაღლ** (<ვაგილ) უფლება მიდართე "არ გაქვს უფლება წახვიდე"; იშო **მეღტე** (<მეგიტე) მეჭლონა "შეგიწყვიტე გამოგზავნა".

მსგავსი მაგალითები დადასტურებული აქვს მ. ხუბუას: **ქოღწინქია** "გეტყვიო" (68), **ქგღოღტალენქ** "დაგტოვებ" (90), **ქოღლუდას** "გქონდეს" (102). ი. ყიფშიძესთან, ჩვეულებრივ, ი ხმოვნიანი ვარიანტებია წარმოდგენილი.

სოფ. პირველი გალის მასალაში **ღ** გამოვლინდა შემდეგ შემთხვევებში: ვაღშართგ "ვერ გამოვიდა", ვაღშალინგ "ვერ გამოიტანა"...

V. **ი**-ს დავიწროების ფაქტები დასტურდება ბოლოკიდურ პოზიციაშიც, კერძოდ, წყვეტილის ფორმებში, სადაც **ეი>ეღ** (გარდა მხ. რიცხვის III პირისა): **ბრელ ბღაჭაღეღ** "ბევრი ვიჩხუბე".

ოშ მუდგარენ **ბრაგაღეღ** "ათასი რამ ვილაპარაკე".

კაბა ჭგირო **ღოპჭეღთგ** "კაბა კარგად შევკერეთ".

გ. როგავას აზრით, ამგვარი -**ეი** დაბოლოებიანი ფორმები მიღებულია წყვეტილის ფუძეზე -**ეგ** სუფიქსის დართვით, კერძოდ: **ბრაგად-ეგ-ი** > **ბრაგად-ე-ი** > (გ თანხმოვნის დაკარგვით) > **ბრაგაღეღ** (ი ხმოვნის დავიწროებით) (გ. როგავა, 1954, გვ. 648). მკვლევრის მიხედვით, **ი/ღ** ერწყმის **ე** ხმოვანს და იწვევს მის გრძლად წარმოთქმას. შდრ.: არნ. ჩიქობავა **ვოგურ-ე-ი** ტიპის ფორმებს კონტამინირებულ წარმოებად მიიჩნევს; ე-თი წარმოებული აორისტი დაირთავს **ი**-ს (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 136).

გამოქვეყნებულ მეგრულ ტექსტებში წყვეტილის აღნიშნული ფორმები სხვადასხვანაირად გადმოიცემა: **ი**. ყიფშიძე იყენებს როგორც **ეე** გაორმაგებულ (ვორულეე "ვარბენინე" (142), გიფჩილითეე "ავიცდინე" (142), ასევე **ეი**

დაბოლოებიან ვარიანტებს (ვორულეი (140), გინიფჩილითეი (141). იოტიანი (ეა) ფორმები არ შეგვხვედრია.

მ. ხუბუა უმთავრესად გრძელ ე ხმოვანს იყენებს; შედარებით იშვიათად ეი/ეა დაბოლოებაც დასტურდება, მაგ.: ქომიწეი "მითხარი" (178), ქვდნტეის "დატოვეს" (185), მიწეა "მითხარიო" (89), გაბონაფემს "დააბანიეს" (93)...

წყვეტილის -ეი/-ეა დაბოლოებიანი ფორმები სპეციფიკურია ზუგდიდურ-სამურზაყანოული მეტყველებისათვის. საანალიზო სოფლის მასალაში მრავლადაა -ეა დაბოლოებიანი წყვეტილის ფორმები. შდრ.: სენაკურ კილოკავში აღნიშნული ზმნური ფორმები ფონეტიკურად გამარტივებულია: ძირითადად ერთი ე ხმოვნით გადმოიცემა (ბრაგადე, ბლაჭალე, ქოდიბტე...).

მეგრულის -ეი დაბოლოებიანი ფორმების ანალოგიური წარმოება დასტურდება სხვა ქართულ კილოებში (იმერ., გურ., აჭარ.), მაგ.: ვიჩივლეი (<ვიჩივლევი), ავილეი (<ავილევი), მოგახსენეი (<მოგახსენევი) (ვ. თოფური, 1925, გვ. 143).

ზემოთ განხილულ შემთხვევებში ა ქმნის დამავალ დიფთონგებს. რაც შეეხება აღმავალ დიფთონგებს, იგი ძალიან იშვიათია. შდრ.: ი. ყიფშიძე: კვარა "ყვაი", მმარო "ბევრი".

VI. რბილი შემართვა-დამართვის შემთხვევები იშვიათია. დამართვის ნიმუში: პეანსია "პენსია".

შემართვის მაგალითები არ შეგვხვედრია.

ამგვარად, გალის რაიონის სოფელ პირველ გალში მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ა საკვლევ რეგიონში საკმაოდ ხშირად გამოიყენება. იგი ძირითადად ისეთსავე პოზიციაში გვხვდება, როგორც სამეგრელოს დანარჩენ რაიონებში. სხვა კილოკავ-თქმებისაგან განსხვავებულ ვითარებას ქმნის ბრაგადე ტიპის ზმნურ ფორმებში ა-ის გამოვლენის ფაქტები.

ლიტერატურა

გ. როგავა, 1945 - გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 8, 1945.

ტ. ფუტყარაძე..., 1999 - ტ. ფუტყარაძე, ნ. ნაკანი, ე. დადიანი, ი და ა ალოფონთა მიმართებისათვის ქართველურ ენებში: ქართველური მეშვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999.

ს. ჯღენტო, 1953 - ს. ჯღენტო, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.

ი. ყიფშიძე, 1914 - И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.П., 1914: ი.ყიფშიძე, თბზ., თბ., 1994.

მ. ციკოლია, 1954 - მ. ციკოლია, მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა: დ. გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXV, სოხუმი, 1954.

მ. ხუბუა, 1937 - მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.

ბ. ჯორბენაძე, 1998 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

გალის რაიონის სოფ. პირველ გალში ჩაწერილი დიალექტური მასალა.

EKA DADIANI, MAIA ARJEVANIDZE

/J/ IN MEGRELIAN (ACCORDING TO THE SPEECH
OF THE VILLAGE OF PIRVELI GALI)

Megrelian speeches provide more or less different examples in terms of using the /j/ sound. The process of palatalization is particularly characteristic to Martvillian speech in which there is frequent shift of /l/ > /j/.

/j/ is not unfamiliar for the Samurzaqanoan speech. The materials collected in the village of Pirveli Gali attests quite an extensive spread of /j/ in the region. The sound occurs mainly in the same position as in the other regions of Megrelia. Namely /j/ is found in the following positions: In the final position substituting /sh/ genitive case marker, (e.g. 'skuaj mardual' child's grower); /l/ > /j/ in the final position anticipated by the loss of nominative case ending /i/, *tsiskvili* > *tsiskvij* and in adjacent to the verbal prefix or particle /i/ > /j/. The process is preceded by the loss of /g/ the second person marker: *vajgh upleba* "we have no rights;" at the preterit ending marker ei > ej (e.g. *bragadei* > *bragadej* "I spoke". ei/ej forms of preterit is characteristic to Zugligian and Samurzaqanoan speech (Compare: Senakian: "bragade").